ტვინების ბრძოლა
ფინალი | შემოდგომა 2023
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
მეცხრამეტე საუკუნის **მეორე ნახევარში** დაბადებული ილუზიონისტი, ჩარლზ კარტერი, დგამდა ხოლმე **ნომრებს**, რომლებშიც საკუთარ თავს იძვრენდა **სასიკვდილო სიტუაციებიდან**. კარტერი ნომრებში იყენებდა ძალიან ბევრ **რეკვიზიტს**, რომელთა წონაც ჯამურად **რამდენიმე ტონას აღემატებოდა**. სიმბოლურია, რომ რეკვიზიტების სიმძიმის გამო კარტერი არ აუშვეს **გემზე**. დაწერეთ, თუ **რომელ** გემზე.

პასუხი: ტიტანიკზე
კომენტარი: კარტერი, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა, 1912 წელს ცდილობდა იმ გემზე ასვლას, რომელიც ტრაგიკულად დაილუპა. რეკვიზიტების სიმძიმის გამო იგი გემზე არ აუშვეს, რითაც, შეიძლება ითქვას, მან საკუთარი თავი მართლაც დაიძვრინა სასიკვდილო სიტუაციიდან.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

ეტემენენკი, etemenanki, Етеменанкі]

თქვენ წინაშეა შუმერული ტაძრის - ეტემენენკის - **დასახელება**. აიზეკ აზიმოვის აზრით, **ბიბლიის** იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია **იქსის** შესახებ, **ეტემენენკის დაუსრულებელი ტაძარი იგულისხმება**. დაასახელეთ იქსი ქართული ანბანის **მეზობელ ასოებზე** დაწყებული **ორი სიტყვით**.

პასუხი: ბაბილონის გოდოლი
კომენტარი: ჩვენ ამ ტაძრის დასახელება სამ სხვადასხვა ენაზე დაგირიგეთ, რაც დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა. აზიმოვის აზრით, ეტემენენკის დაუსრულებელი ტაძარი, რომელიც იმდროინდელი ბაბილონის ტერიტორიაზე მდებარეობდა და საკმაოდ მაღალ შენობას წარმოადგენდა, ბაბილონის გოდოლია.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
2000-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოეთ ამერიკაში გამოუშვეს **საიუბილეო**, **1000-კრონიანი** მონეტა. ამ საიუბილეო მონეტაზე გამოსახული იყო ერთი **სკანდინავიელი**. ერთ **სახუმარო** პოსტერზე ქრისტეფორე **კოლუმბი გაბრაზებით** უცქერს ამ **სკანდინავიელის გემს**. დაასახელეთ ეს **სკანდინავიელი**.

პასუხი: ლეიფ ერიკსონი
კომენტარი: სიმბოლურია, რომ 1000-კრონიან ნომინალზე გამოსახული იყო ვიკინგი, რომელმაც პირველმა დაინახა ამერიკის კონტინენტი ჩვენი წელთაღრიცხვით 1000 წელს. 2000 წელს ამ

აღმოჩენიდან 1000 წელი შესრულდა, რასაც საიუბილეო მონეტა მიუძღვნეს. ეს ვიკინგი გახლდათ ერიკ წითურის ვაჟი, ლეიფ ერიქსონი. ხუმრობის თანახმად, ქრისტეფორე კოლუმბი აღშფოთებული იყო, რომ ლეიფ ერიკსონმა მასზე ადრე მიაგნო ახალ კონტინენტს.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში განხორციელდა ერთ-ერთი პირველი **მცდელობა**, რომ **სამედიცინო** ექსპერიმენტის გზით **გაეზარდათ** ცდისპირების **ინტელექტუალური შესაძლებლობები**. აღნიშნული მცდელობის კომენტირებისას ერთმა ვებ-გვერდმა აღნიშნა: "ეს **რეალობაა** და არა **იქსი**". იქსი თავდაპირველად **1959 წელს** გამოიცა, როგორც **ნოველა**, თუმცა რამდენიმე წელიწადში ავტორმა ის **სრულ რომანად** აქცია. დაასახელეთ იქსი **ორი სიტყვით**.

პასუხი: ყვავილები ელჯერნონისთვის
კომენტარი: ვებ-გვერდმა აღნიშნა, რომ ეს მცდელობა რეალური იყო და არა დენიელ კიზის რომანის სცენარი. წიგნში "ყვავილები ელჯერნონისთვის" ანალოგიური შინაარსის ექსპერიმენტს ატარებენ.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
სიტყვით "ასეთი" შეცვლილია ხუთი ასოსგან შემდგარი სიტყვა.
საფრანგეთის რევოლუციის დროს ხშირი იყო პოლიტიკური **კონფლიქტები**. იმ ეპოქის ერთი **ხუმრობის** თანახმად, ერთმანეთთან **ახლოს მოხვედრილი** პოლიტიკური მეტოქეების **ასეთი გვამებიც** კი ერთმანეთს **ეკამათებოდნენ**. დაასახელეთ **წიგნების სერია**, რომელშიც ვხვდებით **თითქმის ასეთ პერსონაჟს**.

პასუხი: ჰარი პოტერი
კომენტარი: საფრანგეთის რევოლუციის დროს სიკვდილით დასჯის გავრცელებული მეთოდი იყო გილიოტინა და თავის მოკვეთა. პოლიტიკური დავა კი იმდენად ძლიერი იყო, რომ იმდროინდელი ხუმრობის თანახმად, ერთმანეთთან ახლოს მოხვედრილი პოლიტიკური მეტოქეების უთავო გვამებიც კი ერთმანეთს ეკამათებოდნენ. სერ ნიკოლას დე მიმსი-პორპინგტონი, იგივე თითქმის უთავო ნიკი, პოტერიადას პერსონაჟია.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
[მითითება წამყვანს: შეკითხვის ტექსტი წაიკითხეთ ნელა და გარკვევით.]

ვაგრძელებთ! ერთ რომანში აღწერილია ლაშქარი, რომელიც **ვიწრო ხეობაში** გადაადგილდება. ავტორმა **ლაშქარი** შეადარა **იქსს**, ხოლო წინ **მდგომი რაზმი**, რომელსაც **სიტუაციის შეფასება აკისრია**, **იქსის იგრეკს**. მას შემდეგ, რაც ერთი ნაწარმოების პერსონაჟი **შემთხვევით** გააქრობს **შუშას**, იგი გაიგონებს **მადლობას იქსების იგრეკზე**. დაასახელეთ **იქსი** და **იგრეკი თითო** სიტყვით.

პასუხი: გველი; ენა

კომენტარი: ამ შეკითხვით განვაგრძეთ წინა შეკითხვის თემატიკა. ვიწრო ხეობაში მიმავალი ლაშქარი შედარებულია გველთან. ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და შეფასებისთვის გველი იყენებს საკუთარ ენას. მას შემდეგ, რაც ჰარი პოტერმა უნებლიედ გაათავისუფლა გველი ზოოპარკიდან, მან გველების ენაზე გაიგონა სიტყვა "მადლობა".

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]

დარიგებულ მასალაზე გამოსახულია საფეხბურთო კლუბ “ჰამბურგის” **მასკოტი**, სახელად **დინო** ჰერმანი. მას შემდეგ, რაც “ჰამბურგი” ბუნდესლიგიდან **გავარდა**, სპორტულმა გამოცემებმა **ხატოვნად** აღნიშნეს, რომ **მოხდა ეს**. ზოგი ვერსიით, **ეს მოხდა ასტეროიდის ჩამოვარდნის შედეგად**. ანბანის **მეზობელ ასოებზე** დაწყებული ორი სიტყვით დაწერეთ, რა შევცვალეთ სიტყვებით “**მოხდა ეს**”.

პასუხი: დინოზავრები გადაშენდნენ
კომენტარი: მასალიდან და სახელიდან მიხვდებოდით, რომ ჰამბურგის სიმბოლო დინოზავრია. ზოგი ვერსიით, დინოზავრები გადაშენდნენ ასტეროიდის ჩამოვარდნის გამო.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

კომპიუტერული **საძიებო** სისტემა **Microsoft Bing-ი არ გამოირჩევა** დიდი **პოპულარობით**. **ირონიულია**, რომ Microsoft Bing-ში ყველაზე ხშირად ეძებენ **გასული საუკუნის 90-იან** წლებში დაარსებულ **კომპანიას**. დაასახელეთ ეს **კომპანია**.

პასუხი: Google
კომენტარი: ირონიულია, რომ ამ საძიებო სისტემას ძირითადად იყენებენ მასზე გაცილებით პოპულარული საძიებო სისტემის მოსაძიებლად. მაიკროსოფტ ბინგში ყველაზე ხშირად სერჩავენ გუგლს, რათა შემდეგ სხვა რაღაცები დაგუგლონ.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

B__ B_____ Corporation

]

საუბრობდა რა იმაზე, თუ რამდენად **გავლენიანი** და **ყოვლისმხედველია** ბრიტანული მედია, ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა აბრევიატურა **BBC** [ბიბისი] გაშიფრა, როგორც **მისი** კორპორაცია. ნაწარმოები, სადაც **ის** ფიგურირებს, **1948 წელს გამოიცა** და რამდენიმე **ათეული წლის შემდგომ** დამყარებული **ტოტალიტარული რეჟიმის** შესახებ გვიამბობს. დაასახელეთ **ის** გნებავთ **ინგლისურად**, გნებავთ - **ქართულად**.

პასუხი : Big brother / დიდი ძმა
კომენტარი: რეალურად, ბიბისი იშიფრება, როგორც British Broadcasting Corporation. ბიბისის "ყოვლისმხედველობის" აღსანიშნავად იუზერმა ბიბისის აბრევიატურა გაშიფრა, როგორც Big brother's corporation, ანუ დიდი ძმის კორპორაცია. დიდი ძმა ტოტალიტარული რეჟიმის უხილავ სახედ გვევლინება ჯორჯ ორუელის წიგნში "1984", რომელიც 1948 წელსაა გამოცემული.

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი **ლეგენდის** თანახმად, ერთხელ ეს **მონარქი** ერთხელ **ცხოველთა მეფეს** დაუპირისპირდა, **გული ამოუღო** და მტრების თვალწინ **შეჭამა**. დაასახელეთ ეს **ჯვაროსანი** მონარქი.

პასუხი: რიჩარდ ლომგული
კომენტარი: ლეგენდა სწორედ ასე ხსნის მეფის მეტსახელს.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
ერთმა ბლოგერმა **ხუმრობით** აღნიშნა, რომ **არქიტექტორები** აშკარად **ბაძავენ ცნობილი მოწყობილობის დიზაინებს**. **არ გთხოვთ** ამ მოწყობილობის **დასახელებას**. პასუხების ფურცლებზე **გამოსახეთ** ამ **მოწყობილობასთან დაკავშირებული ოთხი სიმბოლოდან ერთ-ერთი მაინც**.

პასუხი: ╳ □ ○ △ (**იქსი** ან **კვადრატი** ან **წრე** ან **სამკუთხედი**)
კომენტარი: ბლოგერმა შეამჩნია, რომ მასალაზე გამოსახული შენობები ძალიან ჰგვანან ვიდეოთამაშების ცნობილი კონსოლის - ფლეისთეიშენის მოდელებს: ფლეისთეიშენ 2-ს, 3-ს, 4-სა და

5-ს. იქსი, კვადრატი, წრე და სამკუთხედი ფლეისთეიშენის ექსკლუზიური სიმბოლოებია, რომლებიც მის ჯოისტიკებზეა გამოსახული.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ნიუკასლისა და **პარი-სენ-ჟერმენის** საფეხბურთო მატჩი, რომელიც ნიუკასლის **საშინაო** სტადიონზე გაიმართა, **მასპინძლების გამარჯვებით** დასრულდა. ამ მატჩთან დაკავშირებულ ერთ ვიდეორგოლში ნახსენები იყო **მოთამაშის ფაქტორი**. რომელი **რიცხვითი სახელი გამოვტოვეთ** წინა წინადადებაში?

პასუხი: მე-12
ჩათვლა: 12, XII
კომენტარი: იმის მიუხედავად, რომ მატჩის ფავორიტებად სტუმრები მოიაზრებოდნენ, გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს. მატჩის შესახებ ერთ ვიდეორგოლში ხაზი გაუსვეს გულშემატკივრის ფასდაუდებელ როლს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ ნიუკასლმა კარგი გულშემატკივრობის ხარჯზე გაიმარჯვა. ფეხბურთში თითოეული გუნდი 11 მოთამაშით არის წარმოდგენილი, გულშემატკივარს კი მე-12 მოთამაშეს უწოდებენ. კითხვის ნომერი დამატებითი მინიშნება გახლდათ.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ანტონია ბაიეტის რომანის პერსონაჟი, რომელიც საყვარელ ადამიანთან **დიდი ხნით** არის **განშორებული**, ამბობს, რომ მას **ყველაფერი ავიწყდება** საყვარელი ადამიანის **ღიმილის გარდა**. ბაიეტი ამ მომენტში ახსენებს ერთ **არსებას**. დაასახელეთ ეს არსება სიტყვით, რომელშიც **ყველა ხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: კატა
კომენტარი: ანტონია ბაიეტის რომანის გმირს მხოლოდ ღიმილიღა ახსოვს, თითქოს მისი საყვარელი ადამიანი ჩეშირის კატა იყოს.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
წიგნში "**ყვავილები ელჯერნონისთვის**" ავტორი ისტორიას **ჩარლი გორდონის პერსპექტივიდან** გვიამბობს. ჩარლის **ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდის** ერთ-ერთი **პირველი ნიშანი** მისი **იქსის გაუმჯობესებაა**. **იქსის** ერთ-ერთი **ონლაინ შემმოწმებელი**, რომელიც ამავდროულად დაკავებულია **წინადადებების შემოკლებით**, ატარებს **ჰემინგუეის** სახელს. დაასახელეთ იქსი **მაქსიმალურად ზუსტად**.

პასუხი: მართლწერა
ჩათვლა: აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: "ყვავილები ელჯერნონისთვის" ჩარლის პერსპექტივიდანაა მოთხრობილი. რაც მეტი დრო გადის, ჩარლის ინტელექტუალური შესაძლებლობები იმატებს, რისი ერთ-ერთი პირველი ნიშანიც მისი მართლწერის გაუმჯობესებაა. "ჰემინგუეი" ონლაინ მართლწერის შემმოწმებელია, რომელიც, ამავდროულად, წინადადებებს ერნესტ ჰემინგუეის მსგავსად ამოკლებს.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
რამდენიმე წლის წინ გავრცელებული **იუმორისტული** სკეტჩის პერსონაჟი **დამნაშავის სახით** აღიარებს, რომ **ახლო კონტაქტი** აქვს **ადამიანებთან**. მაგალითად, მუშაობს **მაშველად აუზზე** და

გატაცებულია **ბერძნულ-რომაული ჭიდაობით**. სკეტჩის **დასაწყისში** ეს პერსონაჟი იგებს **ამის პასუხს**. დაასახელეთ, **რის პასუხს**?

პასუხი: კორონავირუსის ტესტის
ჩათვლა: კოვიდ-ტესტის
კომენტარი: სკეტჩი პანდემიის პერიოდში გავრცელდა. პერსონაჟი შეიტყობს, რომ კორონავირუსი დაუდასტურდა, შემდეგ კი დამნაშავის სახით აღიარებს, რომ მეტისმეტად ბევრ ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი გასულ პერიოდში.